ეროვნული
ბიბლიოთეკა

# უკრაინული ლიტერატურის დეკადა საქართველოში

სამი არის მოყვრისაგან
მოყვრობისა გამოჩენა:
პირველ, ნდომა სიახლისა,
სიშორისა ვერ-მოთმენა,
მიცემა და არას შური,
ჩუქებისა არ-მოწყენა,
გავლენა და მოხმარება,
მისად რგებად ველთა
რბენა.

შოთა რუსთაველი.



ოქტომბერში საქართველოში ჩატარდა უკრაინის ლიტერატურის დეკადა. მისი მონაწილეებისათვის—ძვირფასი უკრაინელი სტუმრებისათვის-ღია იყო რესპუბლიკის თვითეული მცხოვრების გული და კარი. ამ გულითადმა, გულმხურვალე შეხვედრამ ერთხელ კიდევ დაადასტურა ჩვენი დიადი ქვეყნის ხალხთა ლენინური მეგობრობის ურყევი ძალა. დეკადა გადაიქცა უკრაინელი და ქართველი ხალხების ძმობის ნათელ დემონსტრაციად.



საქდესის ფოტოქრონიკა


ეროვნული ბიბლიოთეკა

1964 წლის 1 ოქტომბერს ქართველი მწერლები და თბილისის საზოგადოებრიობის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები გულთბილად შეხვდნენ უკრაინული ლიტერატურის დეკადის მონაწილეებს. ძმური სიყვარულით გადაეხვივნენ მასპინძლები უკრაინის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს ო. გონჩარს, გამოჩენილ უკრაინელ პოეტს, ქართული ლიტერატურის მგზნებარე პროპაგანდისტს მ. ბაჟანს, მწერლებს მ. სტელმახს, ვ. სობკოს, ვ. კოზაჩენკოს, დ. კოსარიკს, ლ. ნოვიჩენკოს და სხვებს.

სურათზე: უკრაინული ლირერატურის დეკადის მონაწილეთა შეხვედრა თბილისის აეროდრომზე.



საქდესის ფოტოქრონიკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

2 ოქტომბერს საღამოს უკრაინელი მწერლები შეხვდნენ ყველაზე მრავალრიცხოვან აუდიტორიას—ქართველ ტელემაყურებლებს. ჩვენმა სტუმრებმა ილაპარაკეს თანამედროვე უკრაინულ ლიტერატურაზე, თავიანთ შემოქმედებით გეგმებზე. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ქართველმა ლიტერატორებმა.

სურათზე: უკრაინელი მწერლები თბილისის ტელესტუდიაში.

ფურცელი 4

საქლესის ფოტოქრონიკა






დეკადის მონაწილენი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში.

5 ოქტომბერს უკრაინელი მწერლები შეხვდნენ ქართველ მეცნიერებს. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა გულთბილი საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თბილისის ბევრი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულების ხელმძღვანელმა. სტუმრებს მხურვალედ მიესალმა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ნ. ი. მუსხელიშვილი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ბარამიძე და უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი მ. ბაჟანი.



საქდესის ფოტოქრონიკა



მიტინგი სურამში.



ლესია უკრაინკას ძეგლს გვირგვინებით ამკობენ.

დიდი ხალხმრავლობა იყო 6 ოქტომბერს სურამში, სადაც ჩავიდნენ დეკადის მონაწილე-ნი. იქ, სადაც აღმართულია უკ-რაინელი ხალხის გამოჩენილი ქალიშვილის ლესია უკრაინკას ძეგლი, გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი. სტუმრებმა და მას-პინძლებმა ყვავილებით შეამ-კეს ძეგლი.



საქლესის ფოტოქრონიკა




ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორც ყველაზე ძვირფას სტუმრებს, ისე შეხვდნენ დეკადის მონაწილეებს ქუთაისის—საბჭოთა საქართველოს მეორე ინდუსტრიული და კულტურული ცენტრის—მშრომელები. სტუმრებმა აქ დაათვალიერეს ქალაქი, ახალმშენებლობანი, იყვნენ საწარმოებში. ყველგან, სადაც არ უნდა გამოჩენილიყვნენ ისინი, მათ ხვდებოდნენ სიყვარულითა და პატივისცემით.

სურათზე: დეკადის მონაწილენი უპასუხებენ მისალმებაზე.




ეროვნული ბიბლიოთეკა

განაგრძეს რა მოგზაურობა საქართველოს მიწაზე, დეკადის მონაწილენი ქუთაისიდან სოხუმს გაემგზავრნენ. გზაზე მათ ყველგან დიდი სიხარულით ხვდებოდნენ. ზუგდიდში სტუმრები გაეცნენ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს.



შეხვედრა ზუგდიდში.



ზუგდიდელი არტემ ლილიშვილი და უკრაინელი მწერალი ი. ზბანაცკი. ისინი ერთად იბრძოდნენ დიდ სამამულო ომში.



საქდესის ფოტოქრონიკა

გულთბილი იყო დეკადის მონაწილეთა შეხვედრა აფხაზეთის მშრომელებთან. მზით განათებული ქუჩებით სტუმრები გაემართნენ ქალაქის დასათვალიერებლად. ქალაქი-ბაღის და ზღვის თვალწარმტაცი ხედები გადაიშალა მათ წინაშე სოხუმის მთიდან. აფხაზეთში ყოფნის დროს მიკოლა ბაჟანს დაბადების 60 წელი შეუსრულდა. სოხუმელებმა გულმხურვალედ მიულოცეს იუბილარს.



დეკადის მონაწილენი გამოჩენილი აფხაზი პოეტის დიმიტრი გულიას საფლავთან.



აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. გ. ჩიქოვანი დაბადების 60 წლისთავს ულოცავს მიკოლა ბაჟანს.




ბათუმის ბოტანიკურ ბაღში.



საზღვაო პორტში.

სწრაფმავალმა წყალქვეშაფრთებიანმა კატარღამ „კომეტამ" დეკადის მონაწილენი ბათუმში ჩაიყვანა. საზღვაო პორტში მათ შესახვედრად საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი შეიკრიბა. 10 ოქტომბერს სტუმრები ეცნობოდნენ აჭარის ქალაქებისა და სოფლების ცხოვრებას.



ქალაქის დათვალიერების დროს.

საქდესის ფოტოქრონიკა





საუბარი სარფელ მშრომელებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამაღელვებელი იყო უკრაინელი მწერლების შეხვედრა თურქეთის მოსაზღვრე სოფელ სარფის მშრომელებთან. მწერლებმა ადგილობრივ ბიბლიოთეკას თავისი წიგნები აჩუქეს, ხოლო კოლმეურნეობას—ტარას შევჩენკოს დაბადების 150 წლისთავის აღსანიშნავად გამოშვებული სამახსოვრო მედალი.

მ. ბაჟანი კოლმეურნეს უძღვნის წიგნს ავტოგრაფით.



მეგობრობის კონცერტი სოფელ შრომის კოლმეურნეობაში.




საზეიმო იყო უკრაინელი მწერლების შესვლა გურიაში. შრომის კოლმეურნეობაში სტუმრებს შეხვდნენ ისე, როგორც საერთოდ ხვდებიან მთელს საქართველოში,—სიხარულით, გაშლილი გულით, სიმღერებითა და ცეკვებით.



დეკადის მონაწილეთა ერთი ჯგუფი.

საქლესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკადის მონაწილენი გაეცნენ სოფელ შრომის სასოფლო-სამეურნეო არტელის ეკონომიკასა და კულტურას, ესაუბრნენ კოლმეურნეებს, არტელის თავმჯდომარეს. დიდი ინტერესით ისმენდნენ ისინი ნაამბობს საქართველოსა და უკრაინის სოფლის მშრომელთა მეგობრობისა და სოციალისტური შეჯიბრების შესახებ.



მახარაძის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსი ვ. ჯაყელი. მ. ბაჟანი და სოფელ შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი მ. ორაგველიძე.

მოხუცი კოლმეურნე ბოლქვაძე, მიკოლა ბაჟანი და ცნობილი მეჩაიე ტატიანა ჩხაიძე.





საქდესის ფოტოქრონიკა

ათი დღე ჟღერდა საქართველოს სტუმართმოყვარე მიწაზე უკრაინული ლექსი—სიმღერა ორი ხალხის ძმობაზე, რომელიც გვიანდერძეს დავით გურამიშვილმა და ტარას შევჩენკომ, ლესია უკრაინკამ და აკაკი წერეთელმა. ეს სიმღერა, რომელიც ანკარა ნაკადულად იშვა საუკუნეთა სიღრმეში, დღეს წყალუხვ მდინარედ იქცა. ორი ხალხის ძმობის დღესასწაულის საბოლოო აკორდი იყო დიდი დასკვნითი საღამო, რომელიც რუსთაველის სახელობის თეატრში გაიმართა.



საღამოს პრეზიდიუმი. ტრიბუნაზეა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. დ. გ. სტურუა.




მაყურებელთა დარბაზში.

საქლესის ფოტოქრონიკა